თათია ობოლაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

არქეტიპული კრიტიკა: ტრადიციული და თანამედროვე მიდგომები

მე-20 საუკუნიდან შეიცვალა მითის ტრადიციული გაგება, გადაიხედა მითის საზრისისა და ფუნქციის შესახებ არსებული ცოდნა. ის აღიქვეს არა ღრმა საზრისს მოკლებულ და უფუნქციო ფიქციად, არამედ ყოფიერების განმსაზღვრელ, სამყაროში ორიენტირების სანიმუშო მოდელად, საკრალურ და თანაც რეალურ ამბად. მითის გადააზრება მნიშვნელოვნად განაპირობა იმ კულტურულმა და პოლიტიკურ-ეკონომიკურმა პროცესებმა, რომელიც გაცილებით ადრე დაიწყო და ევროპის ექსპანსიის ყველაზე ინტენსიურ პერიოდს – მე-17-მე-20 საუკუნეებს ემთხვევა. აღნიშნული პერიოდი პოლიტიკური (სწრაფვა თანასწორობისკენ), ეკონომიკური (ინდუსტრიალიზმი), მსოფლმხედველობრივი და კულტურული თვალსაზრისით რადიკალური ცვლილებებით ხასიათდება. ერიკ კსაფოს დაკვირვებით, „ვერტიკალური თვალსაზრისით (კლასთა შორის) და ჰორიზონტალური თვალსაზრისით (კულტურათა შორის) ევროპა განსხვავებული აზროვნების ტიპისადმი უფრო ტოლერანტული და გახსნილი გახდა. მანამდე, ფაქტობრივად, არსებობდა ერთი, უნიკალური ევროპული კულტურა და მისი სხვასთან შედარების, კულტურული რელატივიზმის აუცილებლობის საკითხიც მოხსნილი იყო“ (Csapo 2005:13). აღმოჩენებისა თუ კოლონიზაციის პროცესმა „აიძულა“ ევროპა სხვადასხვა ტიპის ურთიერთობა დაემყარებინა განსხვავებული წეს-ჩვეულებებისა და კულტურული ტრადიციების მქონე ხალხებთან. საჭიროებამ მოითხოვა სხვათა რელიგიების, მითოსის, ტრადიციებისა და ენის შესწავლა, რამაც ნათელი გახადა განსხვავებულ ქრონოტოპულ მოდელში კულტურული ანალოგიების არსებობა.

მითის რაობის შესახებ აკუმულირებული ახალი ცოდნა იქცა არქეტიპული კრიტიკის, როგორც ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიის, შექმნის წინაპირობად. არქეტიპული კრიტიკა მხატვრულ ტექსტში განმეორებად არქეტიპებს (რისიმე პირველსახე, საწყისი), მითებს იკვლევს.[1] არქეტიპები – „უნივერსალური სიმბოლოები“ განსაზღვრა-

[1] ტერმინი „არქეტიპი“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან. სიტყვის ძირი archein ნიშნავს პირველადს, ორიგინალურს ან ძველს, typos - ნიმუში, მოდელი, ტიპი.

ვენ ლიტერატურული ნაწარმოების ფორმასა და ფუნქციას, მათში იკვეთება ტექსტის არსი. მხატვრულ ტექსტში განმეორებადი არქეტიპების, არქეტიპული მოტივების კვლევა საშუალებას გვაძლევს, უნივერსალური სახე-ხატების აღმოჩენისა და ანალიზის საფუძველზე შევისწავლოთ და ერთ სიბრტყეზე მოვათავსოთ განსხვავებულ პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ თუ მსოფლმხედველობრივ კონტექსტში შექმნილი ტექსტები და დავადგინოთ მათი ურთიერთმიმართების საკითხი.

არქეტიპული კრიტიკის არსისა და ფუნქციის სიღრმისეულად გაანალიზება და მისი პრაქტიკაში გამოყენება შეუძლებელია ფართო კულტურული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, ვინაიდან არქეტიპული კრიტიკა ორი აკადემიური დისციპლინის: სოციალური ანთროპოლოგიისა და ფსიქოანალიზის საფუძველზე შეიქმნა.

შოტლანდიელი ანთროპოლოგისა და ფოლკლორისტის, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის ჯეიმს ფრეიზერის (1854-1941) ფუნდამენტურმა ნაშრომმა „ოქროს რტო. რელიგიის კომპარატივისტული კვლევა“[1] მნიშვნელოვანი
გავლენა იქონია როგორც დარგის შემდგომ განვითარებაზე, ისე მოდერნისტული სააზროვნო მოდელის ფორმირების პროცესზე[2].

მრავალრიცხოვანი წყაროს შესწავლის საფუძველზე სერ ჯეიმს ფრეიზერმა დაადასტურა, რომ მსოფლიოს ნებისმიერ გეოგრაფიულ არეალში მცხოვრებ ხალხებს, ფიზიკური კონტაქტის არარსებობის შემთხვევაშიც კი, ანალოგიური რწმენა-წარმოდგენები, რიტუალები და ქცევითი მოდელები აქვთ. მაგალითად, სიკვდილისა და ხელახალი დაბადების, ქურუმის მსხვერპლთშეწირვის მითი ყველა კულტურაში გვხვდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არქეტიპული კრიტიკა დაეყრდნო ასევე კარლ გუსტავ იუნგის (1875-1961) არქეტიპის თეორიას[3]. იუნგისეული განსაზღვრებით, არქეტიპი ადა-

---

[1] სერ ჯეიმს ფრეიზერმა 1890 წელს გამოაქვეყნა ორტომეული „ოქროს რტო: შედარებითი რელიგიის კვლევა“ (The Golden Bough: A Study in Compatarive Religion), [1] მოგვიანებით განავრცო ნაშრომი და საბოლოო ვერსია (The Golden Bough. A Study in Comparative Religion), წიგნი 12 ტომად, 1906-1915 წწ გამოიცა. არიკიასთან (იტალიის სანაპირო) ნემის ქურუმის მკვლელობის მოტივის ახსნის მცდელობისას მიმართავს ს.ჯ.ფრეიზერი სხვადასხვა ხალხის მითოლოგიებს, რათა აღმოაჩინოს ქურუმის მკვლელობის ანალოგი. ს.ფ. ფრეიზერის დასკვნით, არიკიას ტყის მეფის ანალოგი და „ლიდერის“ მსხვერპლშეწირვის რიტუალი ყველა პრიმიტიული ხალხის ტრადიციაში არსებობდა (Frazer 1922:11–13).

[2] მოდერნისტულ ლიტერატურაში მითოლოგიური მოტივებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს სწორედ „ოქროს რტოს“ გავლენით ხსნის კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ ბ. ვიკერი. ნაშრომი „ოქროს რტოს ლიტერატურული გავლენა“(John B.Vickery „The Literary Impact of The Golden Bough“,1973) პირველი მცდელობაა, გამოავლინოს, თუ როგორ აირეკლა ს.ჯ. ფრეიზერის კვლევის შედეგები ლიტერატურაში. „ფრეიზერმა სანდო მასალაზე დაყრდნობით ასახა პრიმიტიული ხალხების რწმენათა სისტემა და რიტუალები, რითაც მის თანამედროვე საზოგადოებას გააცნო მათთვის სრულიად უცხო სამყარო“(Vickery 2015: 22).

[3] 1919 წელს დაწერილ ესეში „ინსტინქტი და ქვეცნობიერი“ კარლ გუსტავ იუნგმა პირველად გამოიყენა ტერმინი „არქეტიპი“. კ.გ.იუნგი ერთმანეთისგან ასხვავებს „არქეტიპულ ხატსა“ და „არქეტიპს როგორც ასეთს, თავისთავადს“, რომელიც წმინდად ფორმალური ბუნებისაა. მისი აზრით, ხშირად არასწორად არის გაგებული არქეტიპის რაობა, კერძოდ, არქეტიპი დეტერმინირებულია არა შინაარსით, არამედ ფორ-

მიანის ფსიქიკის ყველაზე ღრმა შრეში – კოლექტიურ არაცნობიერში ვლინდება. არქეტიპი – „თანდაყოლილი დისპოზიცია“ არსებობს თითოეულ ინდივიდში და მისი სიმრავლე შეზღუდულია. რაც უნდა მრავალფეროვნად მოეჩვენოს ჩვენს ცნობიერებას ცვალებადი სიტუაციები, ეს ფორმები მუდამ მეტ-ნაკლები ტიპურობით განმეორდება, ვინაიდან „ადამიანების არაცნობიერი უფრო ბევრად ჰგავს ერთმანეთს, ვიდრე მათი ინდივიდუალური ცნობიერების შინაარსი“ (იუნგი 2017:69).[1] არქეტიპის თეორიამ სრულიად შეცვალა ადამიანის არსის, ფსიქიკის სტრუქტურის განსაზღვრება.

სერ ჯეიმს ფრეიზერისა და კარლ გუსტავ იუნგის თეორიებმა მნიშვნელოვანი როლი იქონია ლიტერატურათმცოდნეობის ისტორიის განვითარების პროცესზე. დაიწყო მითის, უნივერსალური სახე-ხატების, არქეტიპული მოტივების შესახებ დაგროვილი ახალი ცოდნის გამოყენება ლიტერატურული ტექსტის ანალიზის პროცესში. ცხადი შეიქნა, რომ სხვადასხვა ხალხის მითოსისა და, ზოგადად, ადამიანის ფსიქიკის – კოლექტიური არაცნობიერის – მსგავსად, განსხვავებულ კულტურულ კონტექსტში შექმნილი მხატვრული ტექსტები გარდაუვლად უკავშირდება ერთმანეთს, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ამ მსგავსებას სწორედ არქეტიპების არსებობა განაპირობებს. შესაბამისად, საჭირო გახდა ტექსტების განსხვავებული მიდგომით კვლევა და უნივერსალური სახე-ხატის, თემის, მოტივის იდენტიფიცირებისა და ანალიზის საფუძველზე ინტერტექსტუალური და ინტერკულტურული კავშირების დადგენა.

არქეტიპული თეორია ლიტერატურის კვლევის პროცესში პირველად ბრიტანელმა მეცნიერმა მოდ ბოდკინმა (Maud Bodkin) 1934 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „არქეტიპული მოდელები პოეზიაში: წარმოსახვის ფსიქოლოგიური კვლევა“ (Archetypal patterns in poetry; psychological studies of imagination) გამოიყენა. ლიტერატურული ტექსტის ანალიზისას სიღრმისეულად სწორედ მან დააკავშირა ერთმანეთთან ანალიტიკური ფსიქოლოგია და ლიტერატურა, გამოყო და შეისწავლა ის უნივერსალური სახეები, არქეტიპული მოტივები, რომლებიც ლიტერატურის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მარადიულად მეორდება. მოდ ბოდკინის ღრმა რწმენით, არქეტიპული მოტივები და მისგან გამოწვეული ემოცია წარმოადგენს ზოგადად ხელოვნების, და ამ შემთხვევაში ლიტერატურის, უდიდეს ძალასა და ღირებულებას.

მით. თავდაპირველი ხატები (primordial image) ივსება ცნობიერი გამოცდილებით და შინაარსით, როდესაც ცნობიერების სფეროს აღწევს. არქეტიპი ხშირად გამოიყენება ორივეს: არქეტიპული მანიფესტაციისა და არქეტიპული დისპოზიციის- აღსანიშნად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იუნგისეული განმარტებით, არქეტიპი ორბუნებოვანია, პოტენციურად ბოროტსა და კეთილს აერთიანებს (Jung 2004: 74).

[1] კარლ გუსტავ იუნგი ოთხ ძირითად არქეტიპს ასახელებს: პერსონა - სოციალური ნიღაბი; ანიმა-ანიმუსი - ანიმა-ქალური სახე კაცის ფსიქიკაში, ანიმუსი პირიქით; ჩრდილი - ადამიანის ცხოველური მხარე, ადამიანური გონის ბნელი მხარე; თვითობა - მთელი ფსიქიკის ცენტრი, რომლის აქტუალიზაციაც არის ადამიანის მთავარი მიზანი.

არქეტიპული კრიტიკა: ტრადიციული და თანამედროვე მიდგომები

მოდ ბოდკინი ლიტერატურას ორი მიმართულებით იკვლევს. პირველ რიგში, ის ეძებს და გამოყოფს იმ ძირითად არქეტიპულ მოტივს, სახეს, რომელიც განსხვავებულ ეპოქასა და კულტურაში შექმნილ ტექსტებში გვხვდება, ასეთი უნივერსალური არქეტიპებია – ხელახალი დაბადების მოტივი, სამოთხისა და ჯოჯოხეთის არქეტიპი, გმირის, ღმერთისა და დემონის არქეტიპული სახე. მეორე მხრივ, მისი ინტერესი მიმართულია მკითხველის ემოციური რეაქციის კვლევისკენ, რომელსაც მხატვრულ ტექსტში გამოყენებული უნივერსალური სახეები აღძრავს.

მოდ ბოდკინის თეორიის მიხედვით, თითოეულ არქეტიპულ მოტივს, სახეს საკუთარი საზრისი, ღირებულება, გარკვეული ფორმა და სტრუქტურა აქვს. ეს არქეტიპები, მართალია გაფერმკრთალებული და მივიწყებულია, თუმცა თითოეული ინდივიდის ფსიქიკაში არსებობს, ცნობიერებაში საკუთარი ესთეტიკური ღირებულების მატარებელია. როდესაც რომელიმე არქეტიპი ლიტერატურულ ტექსტში ჩნდება, მიუხედავად იმისა, რომ პოეტი აფართოებს, გარდაქმნის, გადაამუშავებს და ამდიდრებს მას, არქეტიპული სახეები ქვეცნობიერიდან ცნობიერების ზღურბლს აღწევს და აღმქმელში განცდილ გამოცდილებებს აცოცხლებს. ბრიტანელი მეცნიერის კვლევის რაკურსი სწორედ მკითხველისკენ არის მიმართული და მისი თეორიის მთავარი ქვაკუთხედი იმ ემოციური დამოკიდებულების, ემოციური უკუკავშირის დადგენაა, რასაც არქეტიპული სახეების ტექსტში აღმოჩენა იწვევს. „ჩვენ არ გვაინტერესებს, თუ რამ განაპირობა ან როგორ შექმნეს ორესტეას ან ჰამლეტის სახე ესქილემ და შექსპირმა, ჩვენი მთავარი ამოცანაა მწერლისა და მკითხველის კავშირის, ემოციური ურთიერთმიმართების კვლევა. როცა ვკითხულობთ, ვხედავთ ამ გმირებს, რა ემოციას აღძრავს, რა ემოციურ გამოცდილებას გვახსენებს და რამდენად მსგავსი შეიძლება იყოს ეს ემოცია სხვადასხვა მკითხველისთვის (Bodkin 1963:8). მისი მტკიცებით, მიუხედავად განსხვავებული კულტურული, სოციალური, მსოფლმხედველობრივი, პოლიტიკური კონტექსტისა, ცალკეული ტექსტი მკითხველში მსგავს ემოციას აღძრავს, რაც ტექსტში გამოყენებული არქეტიპული სახეებით, მოტივებით არის განპირობებული. ის სრულად იზიარებს კ.გ.იუნგის პოზიციას და თვლის, რომ როგორი გადამუშავებული, შეფარულიც უნდა მოგვეჩვენოს მხატვრულ ტექსტში რომელიმე არქეტიპი, ჩვენს ფსიქიკას შესწევს ძალა, გაფილტროს, ძირითად მოტივამდე გააშიშვლოს ესა თუ ის არქეტიპი, რის შემდეგაც ჩნდება შესაბამისი ემოციური რეაქცია (Bodkin 1963:32).

მართალია, მოდ ბოდკინმა გაცილებით ადრე დაიწყო მხატვრულ ტექსტებში არქეტიპული სახეებისა და მოტივების კვლევა, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში არქეტიპული (მითოლოგიური)[1] კრიტიკის შექმნა კანადელი ლიტერატურათმცოდნIშ ნორთროპ

[1] არქეტიპული კრიტიკა ხშირად მითოლოგიური კრიტიკის სინონიმად იხმარება. ტერმინი არქეტიპი სრულყოფილად არის გაანალიზებული და დეტერმინებული კ.გ.იუნგის თეორიაში. მითის განსაზღვრება კი მრავალგვარია. საუკუნეების განმავლობაში მითმა მრავალი კონოტაცია შეიძინა, ჯერ კიდევ გასულ საუკუნემდე ის მხოლოდ ფიქციად, არასარწმუნო ამბად მოიაზრებოდა. ორაზროვნებისა და გაუგებრო-

ფრაის (1912-1991) სახელს უკავშირდება, ვინაიდან 1957 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „კრიტიკის ანატომია“ სისტემურად პირველად სწორედ მან ჩამოაყალიბა და განსაზღვრა არქეტიპული კრიტიკის რაობა. მისი მთავარი ამოცანა ლიტერატურის თეორიის, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის, ფუნქციისა და მიზნის ხელახალი განსაზღვრა, მხატვრული ტექსტის ახალი კრიტერიუმებით შესწავლა იყო. მას სურდა ლიტერატურის თეორია მაქსიმალურად დაეახლოებინა ზუსტი მეცნიერებისთვის, შეექმნა თეორია, რომელიც მხატვრული ტექსტის სისტემური კვლევის საშუალებას, გაზომვად შედეგს მოგვცემდა, კრიტიკის ახალი ფორმა, რომელიც განსაზღვრავდა ლიტერატურულ პროცესში ტექსტის ადგილს და მის ურთიერთმიმართებას სხვა ტექსტებთან. ნ. ფრაისთვის მიუღებელი იყო ტრადიციული კრიტიკა, მისი შეზღუდული კვლევის მეთოდოლოგია, კერძოდ, მხატვრული ტექსტის ეთიკური, იდეოლოგიური პოზიციიდან შეფასებაზე, ავტორის პიროვნებაზე ორიენტირებული კვლევა. „უარს ვამბობთ უმნიშვნელო კრიტიკაზე, რომელსაც არ შეუძლია ცოდნის სისტემური სტრუქტურების შექმნა“(Frye 1951:503).

ტექსტების კლასიფიკაციის კრიტერიუმს ნ. ფრაისთვის არქეტიპი წარმოადგენს. განმეორებადი მოდელებისა და სახე-ხატების იდენტიფიკაციით ცდილობს, დაასაბუთოს ერთი ტექსტის სხვა ტექსტებთან მსგავსება და არა ცალკეული ტექსტის განსაკუთრებულობა. არქეტიპული კრიტიკის მთავარი მიზანია: ა) უნივერსალური სახე-ხატების, არქეტიპული მოტივების იდენტიფიცირება; ბ) დაგროვილი მასალის სისტემატიზება, კლასიფიკაცია; გ) კლასიფიკაციის საფუძველზე ლიტერატურულ ტექსტებს, ეპოქებსა და ჟანრებს შორის ურთიერთკავშირების დადგენა.

ნ. ფრაი არქეტიპებს (ჟანრებს) ოთხ განსხვავებულ ფაზაში აერთიანებს. მთელი ლიტერატურა მისთვის განფენილია ოთხ „ნარატიულ კატეგორიაში“, რომელიც შეესაბამება გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრის მითს.

1.	გაზაფხული, განთიადი, დაბადების ფაზა	ლიტერატურული ჟანრი – რომანსი (ეპოსი), დითირამბები, რაფსოდიული პოეზია	მითები გმირის დაბადებაზე, განახლებაზე, სიკვდილისა და სიბნელის დამარცხებაზე. დედისა და მამის არქეტიპული სახე.

ბის თავიდან აცილების მიზნით, იმისთვის, რომ კვლევის ობიექტი და თავად კვლევის მეთოდი ცალსახად ნათელი იყოს, დანიელ ბრაუნი გვთავაზობს მითოლოგიური კრიტიკის საპირწონედ არქეტიპული კრიტიკის დამკვიდრებას (Brown 1970: 465). თუმცა არქეტიპული და მითოლოგიური კრიტიკის ერთმანეთთან გაიგივება და ერთმანეთით ჩანაცვლება მართებული არ არის. თითოეული მითი არქეტიპული სახით, მოტივითაა ნასაზრდოები და მითი თავის თავში აერთიანებს ამბავს და არქეტიპულ სახე/ებ/ს, რომ არაფერი ვთქვათ თითოეული მითის უამრავ ვერსიაზე. შესაბამისად, მითოლოგიური კრიტიკის სემანტიკური ველი გაცილებით ფართოა. ჩვენ ვიყენებთ ორივე სახელდებას, ოღონდ არა როგორც ერთმანეთის სინონიმს, არამედ როგორც ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ, თუმცა ორ დამოუკიდებელ თეორიას.

2,	ზაფხული, ტრიუმფალური ფაზა	კომედია	აპოთეოზის, ღვთაებრივი შეუღლების და სამოთხეში შესვლის მითები. შემწის, თანამგზავრის და ქალის არქეტიპული სახე.
3	შემოდგომა, დაისი, სიკვდილის ფაზა	ტრაგედია, ელეგია	დაცემის, სიკვდილის, მსხვერპლთშეწირვის, გმირის მარგინალიზაციის მითები. დემონის არქეტიპული სახე
4	ზამთარი, სიბნელე, დასასრულის ფაზა	სატირა	ქაოსის დაბრუნების, გმირის დაცემის მითები. გოლიათის, ჯადოქრის არქეტიპული სახე. (Frye 1951: 510)

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ასევე, რომ ნ.ფრაის თეორია ითვალისწინებს არქეტიპების იდენტიფიცირებასა და კლასიფიკაციას და არა მათ ინტერპრეტაციას. გამომდინარე იქIდან, რომ თითოეული არქეტიპი უშრეტი საზრისის შემცველია და მისი უნივერსალური განსაზღვრება შეუძლებელია, მათი ინტერპრეტაციის მცდელობა ნიშნავს ახალი ტიპის კრიტიკაზე და ლიტერატურის თეორიის ზუსტ მეცნიერებებთან დაახლოებაზე უარის თქმას.

არქეტიპული კრიტიკის ტრადიციული თეორია განავითარა თანამედროვე ფრანგულმა სკოლამ. პიერ ალბუი, პიერ ბრუნელი, ვერონიკ ჟელი და ა.შ. აფართოებენ კვლევის არეალს და ყურადღებას ამახვილებენ არა მხოლოდ არქეტიპის, „ლიტერატურული მითის“ აღმოჩენაზე, არამედ მის გაანალიზებაზე, ინტერპრეტაციაზე. პიერ ალბუი წიგნში „მითი და მითოლოგია ფრანგულ ლიტერატურაში“ ვრცლად განიხილავს „ლიტერატურული მითის“ კონცეპტს. მისი აზრით, არქეტიპული (მითოლოგიური) კრიტიკის მთავარი ამოცანა ლიტერატურული მითის კვლევაა. ლიტერატურულ მითს კი მხოლოდ იმ ტიპის მითს უწოდებს, რომელიც მხატვრულ ტექსტში ახალი კონოტაციით იტვირთება, ახალ მნიშვნელობას იძენს. ავტორის თავისუფალი ნება და შემოქმედებითობა სწორედ მითის მოდიფიკაციის უნარში ვლინდება. „თუ ლიტერატურულ ტექსტში მითს ახალი მნიშვნელობა არ ენიჭება, ის არ შეიძლება ლიტერატურულ მითად მივიჩნიოთ“(Albouy 2012:27). მეცნიერისთვის სხვადასხვა ტექსტში მსგავსი მითების, არქეტიპული სახეების კვლევისას აუცილებელი პირობაა, განისაზღვროს, თუ როგორ ტრანსფორმირდება და რა ახალ საზრისს იძენს ტრადიციული მითი განსხვავებულ კულტურულ კონტექსტში. მისთვის მნიშვნელოვანია არა მითის სტრუქტურა, თუ რამდენად სრულყოფილად იყენებს ავტორი მითს, არამედ ნედლ მასალაზე დაყრდნობით რა ახალ ღირებულებას ანიჭებს მას, როგორ ან რატომ ცვლის მას. ჩვენ სრულად ვიზიარებთ მეცნიერის პოზიციას. ლიტერატურული მითის კვლევა მნიშვნელოვანია სწორედ იმიტომ, რომ მწერალი უკვე ნაცნობ მოტივს, სახეს საკუთარი ესთეტიკური პოზიციის, კონტექსტის გათვალისწინე-

ბით გადაამუშავებს. მითოლოგიური სახის, მოტივის მანამდე არსებული საზრისი კი არ უქმდება, არამედ მას ახალი ფენა ემატება და იქმნება მრავალშრიანი და კომპლექსური პალიტრა. მართლაც, „ლიტერატურული მითი წარმოგვიდგება გარკვეული ტიპის მონტაჟად, სადაც სხვადასხვა შინაარსი ერწყმის ერთმანეთს“ (Mortier 1994 :148). მითის ავტორისეული მოდულაციებია საინტერესო და საკვლევი ფრანგი ლიტერატურათმცოდნეშ პიერ ბრუნელის აზრითაც. „მითოკრიტიკას აინტერესებს პირველადი მითების ანალიზი, რომელიც ინტეგრირდება პიროვნულ მითებად. ლიტერატურული ტექსტი იქცევა საკრალურ ენად, რომელიც სპეციფიკური მითის შექმნით წარმოგვიდგება დასაბამიერი რეალობის რესტავრატორად და შემქმნელად (Brunel 2016:44). ამასთან, განსხვავებით არქეტიპული კრიტიკის ტრადიციული სკოლისგან, ფრანგული სკოლა იკვლევს ცალკეული ეპოქისთვის, სააზროვნო სივრცისთვის ნიშანდობლივ არქეტიპულ მოტივებს, სახეებს, მითებს, ვინაიდან ყოველ ეპოქასა და კულტურაში გარე ლიტერატურული ფაქტორების ზეგავლენით სპეციფიკური მითი, სახე აქტიურდება. მაგალითად, როგორც პ.ალბუი აღნიშნავს, მე-19 საუკუნეს – ჯანყის მითები (ძირითადი პერსონაჟები – სატანა, კაენი, პრომეთე), მე-20 საუკუნის დასაწყისს – ნარცისის, ორფევსის მითი განსაზღვრავს (Albouy 2012:31).

მართალია, არქეტიპული კრიტიკის ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი გასული საუკუნის 50-60-იან წლებს უკავშირდება, ამ დროს შეიქმნა რიგი ფუნდამენტური ნაშრომებისა,[1] თუმცა არქეტიპული (მითოლოგიური) კრიტიკა დღემდე აქტიურად გამოიყენება და ტექსტის კვლევის ახალ, განსხვავებულ სტრატეგიას ქმნის.

ჩვენ სრულიად არ ვიზიარებთ სამეცნიერო წრეში არსებულ შეხედულებას, თითქოს არქეტიპულმა კრიტიკამ ამოწურა საკუთარი თავი და დღეს „მკვდარ თეორიათა“ რიგს უნდა მივაკუთვნოთ. პირიქით, მიგვაჩნია, რომ არქეტიპული კრიტიკა მხატვრული ტექსტის კვლევის ერთ-ერთი სრულყოფილი თეორიაა, ვინაიდან, ფრანგი ლიტერატურათმცოდნეშ ვერონიკ ჟელის მსგავსად, ვთვლით, რომ მითოლოგიური სიუჟეტები, სახე-ხატები ლიტერატურის განვითარების ყოველ ეტაპზე (და არა ლიტერატურის განვითარების მხოლოდ კონკრეტული ეტაპიდან) აქტიურად იჭრება ლიტერატურულ ტექსტებში. „რეალიზმის ეპოქაში შექმნილი ტექსტებიც კი, რომელტაც „მითის მტრებად“ მოიხსენიებენ, არ არის მითოსური მგრძნობელობისგან დაცლილი“ (Gely 1998:8-14). არქეტიპული კრიტიკა კი, უდავოდ, შეუცვლელი თეორიაა ე.წ. „ვიზიონალური“[2] ტიპის ნაწარმოებების კვლევისას.

---

[1] რობერტ გრეივზი „თეთრი ქალღმერთი“, 1948წ. და „ბერძნული მითები“,1955წ. (Robert Graves - *Greek Myths* and *The White Goddess*); ჯოზეფ კემპბელის „გმირი ათასი სახით“, 1949წ. (Joseph Campbell - *Hero with a Thousand Faces*) და სხვ.

[2] კარლ გუსტავ იუნგ ორი ესე მიუძღვნა ლიტერატურისა და ფსიქოლოგიის ურთიერთმიმართების საკითხს. 1922 წელს დაწერილ ესეში „პოეტურ ქმნილებასთან ანალიტიკური ფსიქოლოგიის მიმართების

ამდენად, არქეტიპული კრიტიკა, რომელიც ლიტერატურის განსხვავებული რაკურსით, კერძოდ, უნივერსალური, განმეორებადი სახეებისა და მოტივების, კვლევას მიიჩნევს მხატვრული ტექსტის არსისა და საზრისის გაგების ყველაზე ეფექტურ საშუალებად, გასული საუკუნის 30-იან წლებში შემუშავდა და ნორთროპ ფრაის „კრიტიკის ანატომიის" გამოქვეყნების შემდეგ ერთ-ერთ დომინანტურ ლიტერატურულ თეორიად ფორმირდა. არქეტიპული კრიტიკა თავისი არსით ინტერდისციპლინური თეორიაა, რომელიც დაეყრდნო ს.ჯ. ფრეიზერის რიტუალისტურ თეორიასა და კ.გ.იუნგის სიღრმის ფსიქოლოგიას. მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურალისტურმა და პოსტსტრუქტურალისტურმა მეთოდოლოგიებმა არქეტიპული კრიტიკის დომინანტური სტატუსი შეცვალა, მისი ვალიდურობა, სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშ არასდროს დამდგარა. არქეტიპული კრიტიკის სხვადასხვა სკოლის წარმომადგენლები, მართალია, იზიარებდნენ თეორიის საერთო ფასეულობას, ბუნებრივია, ყველა წარმომადგენელი თანხმდებოდა, რომ უნივერსალური მოდელები, მსგავსი არქეტიპები ჩნდება მხატვრულ ტექსტებში კულტურული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, თუმცა განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ საკვლევი ობიექტის – არქეტიპების – მიმართ, განსხვავებულად აღიქვამდნენ არქეტიპული კრიტიკის კვლევის მიზანს. კერძოდ, თუ ნორთროპ ფრაი კმაყოფილდებოდა უნივერსალური მოდელების იდენტიფიცირებითა და კლასიფიკაციით, მოდ ბოდკინი იკვლევდა მკითხველის ემოციურ რეზონანსს. არქეტიპული (მითოლოგიური) კრიტიკის ფრანგული სკოლის წარმომადგენლების ყურადღება ძირითადად მიმართულია არქეტიპული სახის, მოტივის, ლიტერატურული მითის საზრისის დადგენისკენ როგორც ცალკეული ტექსტის, ისე ცალკეული სააზროვნო სივრცის ფარგლებში. მათ აინ-

---

შესახებ" (On the Relation of Analitical Psychology to Poetry) ადგენს მხატვრული ტექსტის ანალიზის პროცესში ფსიქოლოგიის მნიშვნელობის საზღვრებს. 1930 წელს გამოქვეყნდა მისი მეორე წერილი „ფსიქოლოგია და ლიტერატურა"(Psychology and Literature), რომელშიც ლიტერატურის კვლევისას ფსიქოლოგიის ჩართულობის მასშტაბი უკვე გაფართოებული სახითაა წარმოდგენილი. იუნგი გამოყოფს ორი ტიპის ტექსტს: 1) **ფსიქოლოგიური ტიპი** -ტექსტი ადამიანის ცნობიერების სფეროდან მომდინარე წყაროს ეყრდნობა. მაგ: ემოციური შოკი, ცხოვრებისეული გაკვეთილი, კრიზისი და ა.შ., ყველაფერი, რაც ადამიანის ცნობიერ ცხოვრებას და, განსაკუთრებით, მის ემოციურ ცხოვრებას ქმნის. ავტორის მიზანია, ცნობიერების შინაარსის ინტერპრეტაციის, მისი გამოვლენის გზით მკითხველი სიღრმისეულად ჩაახედოს ადამიანურ არსში, ის გამოიტანოს დღის სინათლეზე, რის გაანალიზებსაც მკითხველი გაურბის. „ამ ტიპს ვუწოდე ფსიქოლოგიური, რადგან ისინი არასდროს აღემატება, არასდროს გადააჭარბებს ფსიქოლოგიური გასაგებობის (intelligibility) საზღვარს (Jung 2001, 159). ლიტერატურის ამ კლასს ეკუთვნის უამრავი მხატვრული ტექსტი, მაგალითისთვის დასახელებულია ჰერმა მელვილის „მობი დიკი", ართურ კონან დოილის ტექსტები და ა.შ. იუნგის აზრით, ფსიქოლოგიას ნაკლებად აინტერესებს „ფსიქოლოგიური" ტექსტები, ვინაიდან ამ ტიპის რომანი, როგორც წესი, თავად განმარტავს საკუთარ თავს. **2) ვიზიონალური visionary ტექსტებში** ანალიზისთვის არსებობს თავისუფალი, ღია სივრცე. ავტორს არ აინტერესებს გმირების ფსიქოლოგიური პორტრეტის აღწერა. საუკეთესო მაგალითად იუნგი გოეთეს „ფაუსტს" მიიჩნევს, „ფაუსტის" პირველ ნაწილს იუნგი ფსიქოლოგიურ ტიპს აკუთვნებს, მეორეს კი – ვიზიონალურს. „პირველყოფილი, დასაბამიერი სურათ-ხატები უდროობიდან, მითოლოგიური სიღრმიდან ამოიზრდებიან, უცხო და უჩვეულო, დემონური და გროტესკული არიან. მეორე ნაწილი არის მარადიული ქაოსის სასტიკი ნიმუში"(Jung 2001, 160–61). ფსიქოლოგიისთვის სწორედ ვიზიონალური ტიპის ტექსტებია მიმზიდველი, ვინაიდან ამ ტიპის ტექსტები მთლიანად არქეტიპული სურათ-ხატებით საზრდოობს.

ტერესებთ, თუ როგორ ფართოვდება ცალკეული არქეტიპი სხვადასხვა მხატვრულ ტექ-სტში, რა დამატებით შინაარსს იძენს ის. შესაბამისად, უნივერსალური სახე-ხატების კვლევის ყველაზე სრულყოფილი სტრატეგია სწორედ თანამედროვე თეორეტიკოსების ნაშრომებში ვლინდება.

Tatia Oboladze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Archetypal Criticism: Traditional and Modern Approaches
Summary

Keywords: universal imagery, archetypal criticism, theory of literature

Archetypal criticism that regards research in different recourse, in particular, through universal, repeating images and motifs as the most effective means for understanding of the substance and sense of the literary text was developed in 30s of the past century (first applied by British literature theorist Amy Maud Bodkin – Archetypal Patterns of Poetry: Psychological Studies of Imagination (1934)) and after publication of the Anatomy of Criticism by Northrop Frye it has formed as one of the dominating literary theory. In the scientific literature, archetypal criticism is frequently used as the synonym of mythological criticism and is widely applied for analysis of literary texts till now (archetypal criticism is reasonably regarded as the universal method foe research of the texts of "visional" type).

Universal imagery determines the form and function of the piece of literature; it shows the substance of the text. Hence, studying of the repeating archetypes, archetypal motifs in the literary text allow studying and placing on the same plane the texts created in different political, social, cultural and worldview contexts through identification and analysis of the universal imagery and clarify the issue of their interrelation.

Archetypal criticism, with its substance, is an interdisciplinary theory relying on social anthropology (Cambridge school – James Frazer) and psychoanalysis (Carl Gustav Jung), results of the most recent studies, here is implied theory of the representative of Cambridge school, James Frazer about existence of similar myths and rituals in different cultures (myth of death and re-born) and research of the collective unconscious, archetypes by Carl Gustav Jung.

While structuralism and post-structuralism methodologies have changed the dominating status of archetypal criticism its validity, reliability have never been questioned. Representatives of different schools of archetypal criticism, while sharing general value of the theory, naturally, all representatives agreed that universal models, similar archetypes appear in

the literary texts irrespective of the cultural context, though they had different attitude towards the object under study – the archetypes and differently understood the goal of studying of archetypal criticism. In particular, while Northrop Frye contented himself with identification and classification of the universal models, Maud Bodkin studied the reader's emotional resonance with the archetype, attention of the representatives of the French school archetypal (mythological) criticism (Pierre Brunel, Veronique Gely, Pierre Albouy) was mostly focused on identification of the archetypal image, motif, sense of the literary myth, within the scopes individual text, as well as within the individual thinking space. They are interested in how individual archetype is unfolded in different literary texts, what is the additional content acquired by it. Hence, the most complete strategy of studying of the universal imagery reveals in the works of contemporary theorists,

In Georgian literary studies the archetypal criticism, as one of the methods of texts research is not actually applied. We made attempt to compare traditional and modern approaches of archetypal criticism and identify its advantages.

დამოწმებული ლიტერატურა:

იუნგი 2017: კარგლ გუსტავ იუნგი. *„მეტამორფოზის სიმბოლოები“.* თბილისი: დიოგენე 2017.

Albouy 2012: Albouy, Pierre. Avant-propos(1969). *Mythes et Mythologies dans la literature Francaise.* France: Armand Colin, 2012. Pp. 23-32

Bodkin 1963: Bodkin, Maud. A*rchetypal Patterns in Poetry: Psychological Studies of Imagination.* London: Oxford University Press, 1963 (reprint of 1934).

Brown 1970: Brown, Daniel. *A Look at Archetypal Criticism*. The Journal of Aesthetics and Art Criticism. Vol.28. N4. pp. 465-472.

Brunel 2016: Brunel, Pierre. *Mythocritique. Theorie et parcours*. Grenoble: ELLUG, 2016.

Csapo 2005: Csapo, Eric. Theories of Mythology. Blackwell, 2005

Gely 1998: Gely, Veronique. Mythe et Recit Poetique. France: Clemont-Ferrand, 1998.

Frazer 1922: Frazer, James George. The Golden Bough. A Study of Magic and Religion. Temple of Earth Publishing. https://www.templeofearth.com/books/goldenbough.pdf

Frye 1951: Frye, Northrop. "The Archetypes of Literature." In: *The Kenyon Review*, 1951. https://pdfs.semanticscholar.org/fe25/7024873975ee800dbbe466c432ab83513dfe.pdf

Jung 2001. Jung, Carl Gustav. *Modern Man in Search of a Soul*. Routledge Classics, 2001.

Jung 2004. Jung, Carl Gustav. *Four Archetypes*. Routledge Classics, 2004.

Mortier 1994: Mortier, Daniel. "*Mythe litteraire et esthétique de la reception*", In: Mythes et Littérature. Ed. Pierre Brunel. Paris: Presses de l'Universite de Sorbonne, 1994, pp.143-151.

Vickery 2015: Vickery, J.B. *The Literary Impact of The Golden Bough*. New Jersey: Princeton University Press, 2015.